

"საქართველოს ეროვნული ბანკი" აცხადებს ვაკანსიას არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტის არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის სპეციალისტის თანამდებობაზე.

არასაბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტის ამოცანაა: მოქმედი კანონმდებლობის და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად, განახორციელოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, საკრედიტო კავშირების, ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისა და ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირების ზედამხედველობა.

სამუშაოს სპეციფიკა: პოზიცია მოიცავს დინამიურ და მრავალმხრივ სამუშაოს საინტერესო და ძლიერი პროფესიონალების გუნდში, რაც საშუალებას აძლევს დასაქმებულს სრულად წარმოაჩინოს და განავითაროს თავისი შესაძლებლობები, მათ შორის შიდა და ორგანიზაციის გარეთ ტრენინგების მეშვეობით.

მოვალეობები:

- ** საზედამხედველო სუბიექტების საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და ნორმატიულ ბაზასთან შესაბამისობის დადგენა;
- ** ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტების საქმიანობაზე დისტანციური ზედამხედველობის განხორციელება;
- ** შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული ღონისძიებების შესრულების კონტროლი;
- ** საზედამხედველო სუბიექტების მიმართ დაწესებული მოთხოვნების შესრულების შემდგომი მონიტორინგი.

ძირითადი მოთხოვნები:

- ** უმაღლესი განათლება სასურველია ეკონომიკის დარგში;
- ** სასურველია კანდიდატს ჩაბარებული ჰქონდეს საკვალიფიკაციო გამოცდები - ACCA; CFA;
- ** საფინანსო სექტორში მუშაობის ერთწლიანი გამოცდილება;
- ** საზედამხედველო სუბიექტებთან დაკავშირებული კანონმდებლობის ცოდნა;
- ** ინგლისური ენის კარგად ცოდნა;
- ** საოფისე კომპიუტერული პროგრამების კარგად ცოდნა.

კომპეტენციები:

- ** იდეების დასაბუთება, დარწმუნება;
- ** პრეზენტაციის მომზადება, ჩატარება;
- ** ცვლილებების ინიცირება და მართვა;
- ** ანალიტიკური ანგარიშის მომზადება;
- ** სტრესის ზემოქმედების ქვეშ მუშაობა;
- ** ცოდნა ორგანიზაციის მისიის, საჯარო სამსახურის ეთიკის და საზოგადოებრივი სარგებელის შესახებ.

თანამდებობრივი სარგო: 1000-1500 ლარი (დარიცხული)

კონკურსი ჩატარდება ინტერვიუს სახით.

დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ 2019 წლის 14 იანვრის ჩათვლით CV გამოაგზავნოთ ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: vacancies@nbg.gov.ge და სათაურში მუთითეთ ვაკანსიის დასახელება: არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის სპეციალისტი